II დანართი

მოხსენიებული მუხლში 2.2

წარმოშობის წესები და ადმინისტრაციული თანამშრომლობის მეთოდები

<u>დანართი II</u>

<u>მოხსენიებული მუხლში 2.2</u>

<u>წარმოშობის წესები და</u> ადმინისტრაციული თანამშრომლობის მეთოდები

<u>მუხლი 1</u>

პან-ევრო-ხმელთაშუაზღვის პრეფერენციული წარმოშობის წესების რეგიონალური კონვენცია

წარმოშობის წესებთან და მხარეთა საბაჟო ორგანოების ადმინისტრაციულ თანამშრომლობასთან მიმართებაში, მოქმედებს პან-ევრო-ხმელთაშუაზღვის წარმოშობის პრეფერენციული წესების რეგიონალური კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) დამატება I და დამატება ი II-ის შესაბამისი დებულებები, მათ შორის მისი დანართები, რომლებიც წარმოადგენენ ამ შეთანხმების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს, *სათანადო ცვლილებების გათვალისწინებით.*

<u>მუხლი 2</u>

კონვენციიდან გასვლა

1. თუ მხარე გამოვა კონვენციიდან, მხარეებმა დაუყოვნებლივ უნდა გამართონ მოლაპარაკებები ამ შეთანხმებასთან დაკავშირებულ წარმოშობის ახალ წესებზე.

2. ახალი წესების ძალაში შესვლამდე, კონვენციის დამატება I, მათ შორის მისი დანართები და დამატება II-ის შესაბამისი დებულებები, რომლებიც მოქმედებს

ექსპორტის დროისთვის, ძალაში რჩება ამ შეთანხმებასთან დაკავშირებით, *სათანადო ცვლილებების გათვალისწინებით*, რის საფუძველზეც დაიშვება პან-ევრო-ხმელთაშუაზღვის წარმოშობის კუმულაცია მხოლოდ მხარეთა შორის.

მუხლი 3

შეტყობინება

შეთანხმების მხარემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს კონვენციის რატიფიკაციის, კონვენციიდან გამოსვლის ან კონვენციასთან დაკავშირებული დათქმების შესახებ.

მუხლი 4

სხვა დებულებები

ამ შეთანხმების მე-12 მუხლი უნდა გავრცელდეს ყველა დავის გადაწყვეტაზე, რომელიც ეხება კონვენციის დამატება I-ის განმარტებას ან მის გამოყენებას.

მუხლი 5

კუმულაციასთან დაკავშირებული გარდამავალი დებულებები

1. კონვენციის დამატება I-ის მე-16 მუხლი მე-5 პუნქტისა და 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიუხედავად, როდესაც კუმულაცია მოიცავს მხოლოდ EFTA-ს (ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის) სახელმწიფოებს, საქართველოს, ფარერის კუნძულებს, ევროკავშირს, თურქეთს, სტაბილიზაციისა და ასოცირების პროცესის მონაწილეებს და მოლდოვეთის რესპუბლიკას, შეიძლება იყოს გამოყენებული გადაადგილების სერტიფიკატი EUR.1, ან წარმოშობის დეკლარაცია..

2. კონვენციის დამატება I-ის მე-3 მუხლი მე-5 პუნქტის დაკმაყოფილების შემთხვევაში მიიჩნევა, რომ დიაგონალური კუმულაციის გამოყენება შესაძლებელია კონვენციის მონაწილე ხელშემკვრელ მხარეებს შორის მიუხედავად იმისა, მოქმედებს თუ არა კონვენცია მათთან მიმართებაში.

3. ითვლება, რომ კონვენციის ყველა მხარისთვის ამ შეთანხმების ძალაში შესვლამდე, დიაგონალური კუმულაციის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის და კონვენციის დამატება I-ის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის (a) და (b) ქვეპუნქტების შესაბამისად, მხარეებსა და კონვენციის მონაწილე ნებისმიერ

ხელშემკვრელ მხარეს შორის.

_____